

## დანართი 2

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ორგანიზაციული ნაბიჯები გადადგა ბოლონის დეკლარაციის მოთხოვნათა, განათლების კანონისა და სხვა ბაზისური დოკუმენტების შესაბამისად. მათ შორის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე დაწესებული რეფორმირების პროცესი. შემუშავებული და ამოქმედებულია სიამივე დონის სასწავლო პროგრამები. შემუშავებულია დოქტორანტურის საფაკულტეტო დებულება, რომლის შესაბამისად მიმდინარეობს სადოქტორო დისერტაციების დაცვები. მიმდინარეობს ფაკულტეტის კომპიუტერიზაციის პროცესი და ა.შ.

მაგრამ რეფორმირების თვალსაზრისით კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ამ თვალსაზრისით, ჩვენ ვეყრდნობით იმ ძირითად პრინციპებს, რომლებსაც საფუძველი ჩაეყარა 1988 წელს ბოლონიაში მიღებულ სპეციალურ დოკუმენტში (“Magna Carta Universitatum”): უნივერსიტეტების ავტონომიურობა, კვლევისა და სწავლების მიუკერძოებლობა; კვლევისა და სწავლების განუყოფლობა; კვლევისა და სწავლების თავისუფლება, როგორც საუნივერსიტეტო ცხოვრების ფუნდამენტური პრინციპი, უნივერსიტეტის ლტოლვა უნივერსალური განათლებისა და სხვადასხვა კულტურათა შორის ცოდნის გაცვლისაკენ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის დღევანდელ ეტაპზე ძირითად მიზანს წარმოადგენს სტუდენტზე ორიენტირებული განათლების ინსტიტუციონალიზაცია, სტუდენტთათვის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ტრანსფერაბელური ცოდნისა და კვლევითი უნარ-ჩვევების მიცემა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად, ლოკალური, რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით. აგრეთვე, ფაკულტეტის გადაქცევა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა სფეროში სამეცნიერო კვლევების ცენტრად.

ამ ძირითადი მიზნიდან გამომდინარეობს ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია. ჩვენი აზრით, ფაკულტეტის განვითარების მაგისტრალურ ხაზს განსაზღვრავს დასავლური უნივერსიტეტების მიერ აღიარებული სამმაგი მისიის – სწავლება, კვლევა, ადმინისტრირება – რეალიზაციის ამოცანა, რაშიც მოვიაზრებთ ამ კომპონენტთა ურთიერთშეთანადებას, მათ შორის ჰარმონიული მიმართებების იმგვარად დალაგებას, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ჩვენი ძირითადი მიზანი. ამ გზაზე კი ყველა კომპონენტის არსებით განზომილებად ფაკულტეტის მართვაში მაქსიმალური გამჭვირვალობის რეალიზაცია, აგრეთვე, ეფექტიანი ჰორიზონტალური მიმართებების ჩამოყალიბება გვესახება. ამ ძირითად პოსტულატებზე დაყრდნობით ვხედავთ ფაკულტეტის, როგორც ერთიანი, ორგანულად ინტეგრირებული მთელის ფორმირების შესაძლებლობას.

### აკადემიური განვითარება.

**პროგრამების სრულყოფა.** ფაკულტეტზე ფუნქციონირებს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. მიუხედავად იმისა, რომ ხარისხის მართვის სამსახურმა დიდი ძალისხმევა გასწია, პროგრამათა დახვეწა კვლავ რჩება აქტუალურ ამოცანად. კვლავაც

აქტუალურია ახალი პროგრამების შექმნის წახალისება, უცხოენოვანი და ერთობლივი სასწავლო პროგრამების (ინტერდისციპლინური, ინტერფაკულტეტური, მულტიდისციპლინური, საერთაშორისო) განვითარება; სილაბუსების ექსპერტიზა, ამასთან, არა მხოლოდ ფორმატის შეფასება, არამედ პროგრამების შინაარსის მაღალი დონის უზრუნველყოფაც; მოქმედი პროგრამების შემოწმება, ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა და ახლის განვითარება; peer-review სისტემის ფორმირება და სხვა. პროგრამებისა და ცალკეული კურსების უზრუნველყოფა სასწავლო მასალით (ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოები და “რიდერები”, ტექნიკური საშუალებები და ა.შ.)

**გამოცდილების გაზიარება.** ძალზე მნიშვნელოვანია პროფესორებს შორის პირადი გამოცდილების ურთიერთგაცვლა (სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების ანალიზი, სწავლების ტრადიციული მეთოდების გადახედვა და ახალი მეთოდების ეფექტიანობის შემოწმება, ზოგადად, სწავლების მეთოდოლოგია, სალექციო კურსების მუდმივი განახლება/შეცვლა ახალი თეორიული თუ კვლევითი მონაცემებით და მათი განახლებულად სწავლება და სხვ.) სასწავლო პროგრამებთან, ზოგადად, სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებში გამოცდილების გასაზიარებლად, აზრთა ურთიერთგაცვლელად აკადემიური პერსონალის შეხვედრები გარკვეული პერიოდულობით ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს; ასევე უნდა იქცეს ტრადიციად შეხვედრები და საუბრები სწავლებისა და შეფასების თანემედროვე მეთოდებზე, მიდგომებზე, მათ გასაცნობად და დასამკვიდრებლად. ხოლო ასეთ შეხვედრათა ორგანიზება როგორც ფაკულტეტის ფარგლებში, ისე ფაკულტეტთა შორის, დეკანისა და მისი ოფისის თანამშრომელთა მნიშვნელოვან ფუნქციად უნდა იქცეს.

საზოგადოდ, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა და ამ მიზნის რეალიზაციისთვის ძალისხმევა ფაკულტეტის მუდმივი საზრუნავი უნდა იყოს.

**უკუკავშირი სტუდენტებთან.** ყველა პედაგოგის ინტერესებში უნდა იყოს, სასწავლო კურსების და პროგრამების დახვეწის მიზნით, მუდმივი უკუკავშირი სტუდენტებთან. ასეთი უკუკავშირის რეალიზაცია თავიანთ სალექციო კურსებთან დაკავშირებით თვით პედაგოგებსაც შეუძლიათ. ამ საქმეში მათ კარგი დახმარება შეიძლება გაუწიოს აკადემიური პერსონალის საქმიანობის შესახებ ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა. სალექციო კურსების სრულყოფაში მათი რეალური გათვალისწინების პრაქტიკის შემოღება, ვფიქრობ, სასიკეთოდ წაადგება აკადემიური სრულყოფის საქმეს.

ამიტომ, ვფიქრობ, ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს მჭიდრო კონტაქტები სტუდენტთა თვითმმართველობასთან, აგრეთვე, სტუდენტების პერიოდული შეხვედრები დეკანსა და მის მოადგილეებთან აკადემიური პროცესის საჭირობორტო საკითხებთან დაკავშირებით.

## სამეცნიერო-კვლევითი განვითარება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებთან ფაკულტეტის ფარგლებში მოქცეული მიმართულებებისთვის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტია და იგი მოიაზრება სასწავლო კომპონენტის განუყოფელ ნაწილად. უნივერსიტეტის ჰუმბოლტდისეული მოდელის თანახმად, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (სამივე დონის პროფესორი) უნდა იყოს მკვლევარი და ლექტორი/მასწავლებელი თანაბრად, მით უფრო, თუ ფაკულტეტს აქვს სწავლების მესამე დონე – დოქტორანტურა. სადოქტორო პროგრამის არსებობა უკვე ნიშნავს მასში ლექტორისა და სტუდენტის ჩართულობას, რამდენადაც ამის გარეშე

სადოქტორო პროგრამა ვერ განხორციელდება. შესაბამისად, აკადემიურმა პერსონალმა უნდა შეითავსოს კვლევა და სწავლება. ამ პროცესში მისი ხელშეწყობა ფაკულტეტის უმნიშვნელოვანეს ამოცანად გვესახება.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ფაკულტეტზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურებაზე ზრუნვა. ამ თვალსაზრისით რამდენიმე კონკრეტული საკითხია მოსაგვარებელი:

**სამეცნიერო პერიოდული გამოცემა** . კვლევითი საქმიანობის გააქტიურების და სამეცნიერო სივრცეში ჩართვის აუცილებელი პირობაა პროფესორების მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, აგრეთვე, სამეცნიერო კონფერენციების სისტემატური ჩატარება. შესაბამისად, სამეცნიერო პერიოდული გამოცემის არსებობა ფაკულტეტისთვის გადაუდებელი ამოცანაა. დასაწყისში ამას შესაძლოა ჰქონდეს შრომათა ყოველწლიური სახე. თანდათანობით კი უნდა მიიღოს რომდენიმე დარგობლივი ჟურნალის სახე. ჩვენი აზრით, ასეთი გამოცემები უნდა იყოს ორენოვანი მაინც, ხოლო მისი სარედაქციო კოლეგია მრავალენოვანი – ქართველი და უცხოელი მეცნიერების წარმომადგენლობით. უადრესად მნიშვნელოვანია ელექტრონული სამეცნიერო ჟურნალის ორგანიზება.

**დასავლურ სამეცნიერო სივრცესთან დაახლოვება**. ხელი უნდა შეეწყოს ფაკულტეტის სამეცნიერო პერსონალის უცხოელ კოლეგებთან დაკავშირებისა და ერთობლივი კვლევების ორგანიზების პროცესს, ფაკულტეტის მჭიდრო თანამშრომლობას უნივერსიტეტის სამეცნიერო დეპარტამენტთან, იმ სტრუქტურებთან, რომლებსაც ხელეწიფებათ პროფესორების კონსულტირება და გეზის მიცემა იმის თაობაზე, თუ რომელ ფონდებშია უმჯობესი პროექტების დასაფინანსებლად წარდგენა, საგრანტო პროექტების შედგენაში დახმარება და ა.შ.

**სამეცნიერო შეხვედრების ორგანიზება**. სრულფასოვანი სამეცნიერო საქმიანობა აუცილებლობით მოითხოვს აქტიურ ძალისხმევას სამეცნიერო შეხვედრების, კონფერენციების მოსაწყობად, აგრეთვე, იმ პირთა ქმედითად ხელშეწყობას, რომლებსაც ექნებათ უნივერსიტეტის გარეთ, ქვეყნის მასშტაბით თუ საზღვარგარეთ კონფერენციებში მონაწილეობის სურვილი. უნდა მოხდეს ასეთი სურვილის წახალისება და მოიძებნოს გამარტივებული მექანიზმები მისი რეალიზაციისთვის.

ვფიქრობ, რომ ფაკულტეტისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა იქცეს ფაკულტეტის ფარგლებში არა მხოლოდ ცალ-ცალკე აკადემიური პერსონალის თუ სტუდენტური კონფერენციების, არამედ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების, მაგისტრანტების, დოქტორანტების ერთობლივი კონფერენციების, ერთობლივი მრგვალი მაგიდების, პრობლემური სემინარებისა თუ სხვა სახის შეხვედრების აქტიური ფორმების ხშირი ორგანიზება საქმიანი ურთიერთგაცნობის, იდეათა და მოსაზრებათა გაცვლის მიზნით.

**თანამშრომლობითი კვლევების წახალისება**. სამეცნიერო ინტერესთა და იდეათა ურთიერთგაცვლაში არანაკლებ მნიშვნელოვანია კოლეგებთან თანამშრომლობითი კვლევების ფართოდ წახალისება. ვფიქრობ, ასევე, უნდა დაინერგოს და უფრო აქტუალური გახდეს ინტერდისციპლინური კვლევები, რისთვისაც თვით ფაკულტეტის მრავალფეროვნება კარგ ბაზისს ქმნის.

**კვლევისთვის აუცილებელი მასალები**. გარდა იმისა, რომ კვლევა სოციალურ მეცნიერებებში მნიშვნელოვან ფინანსურ უზრუნველყოფას გულისხმობს, არსებობს სპეციფიკური მასალებიც, რომელთა გარეშე სოციალურ მეცნიერებებში კვლევის განხორციელება შეუძლებელია. ასეთია სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური პაკეტები სოციალური მეცნიერებებისთვის ბუნებრივი რაოდენობრივი თუ თვისებრივი კვლევების

მონაცემთა დასამუშავებლად. ვფიქრობ, ფაკულტეტი უნდა ფლობდეს ასეთ პაკეტებს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტთა მოხმარებისთვის.

**სტუდენტების ჩართვა კვლევით საქმიანობაში.** ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით ცხოვრებაში ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. ერთი მხრივ, სტუდენტებთან თანამშრომლობა პროფესორთა პროდუქტიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა – დასავლურ ტრადიციაში სწორედ სტუდენტებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესორას სამეცნიერო პროდუქციის შექმნაში. გარდა ამისა, ეს არის საუკეთესო საშუალება ინტელექტუალური მემკვიდრეობითობის უზრუნველსაყოფად.

მეორე მხრივ, ასეთი კვლევების ფარგლებში ლექტორებისა და სტუდენტების აქტიური კონტაქტები ხელს უწყობს სწავლებისა და პრაქტიკის მაქსიმალურ დაახლოვებას, გარკვეული თვალსაზრისით, სალექციო კურსების კონტექსტუალიზაციას, იმას, რომ ლექციებზე მიწოდებული ნებისმიერი სახის მასალა – თეორიული თუ პრაქტიკული, სტუდენტებისთვის არ დარჩეს უსიცოცხლო, რეალური ცხოვრებისგან განყენებულ ინფორმაციად.

**ბიბლიოთეკა.** ფაკულტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სრულყოფილი ამოქმედება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. თუმცა მიმართულებებს აქვთ თავიანთი საბიბლიოთეკო რესურსი, დღეისათვის, რეალურად ფუნქციონირებს მხოლოდ ორი: სოციალურ მეცნიერებებთან ცენტრისა და სოციოლოგიის მიმართულების, ამდენად, საფაკულტეტო ბიბლიოთეკის ამოქმედების ამოცანა უსწრაფეს გადაჭრას მოითხოვს. ასევე, მნიშვნელოვნად მიმანია ადგილობრივი ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემის ჩამოყალიბება. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიმანია ზრუნვა რომელიმე ელექტრონული ბაზის შესყიდვაზე, სადაც განთავსებულია ამა თუ იმ დარგის კვლევითი პროდუქცია. ამასთან, ბიბლიოთეკის შევსება ახალი სამეცნიერო ლიტერატურით ფაკულტეტის მუდმივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს.

**სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრების ორგანიზება.** პრაქტიკული და სამეცნიერო -კვლევითი საქმიანობის ინტეგრაციას ხელს შეუწყობს ფაკულტეტთან არსებული ისეთი ცენტრების შექმნა, რომლებიც მოემსახურება როგორც საუნივერსიტეტო კონტინგენტს, ასევე მოსახელებას. ფაკულტეტზე საკმარისი ადამიანური რესურსია იმისათვის, რომ შეიქმნას კონკურენტუნარიანი სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრები, რომლებიც მომსახურებაზე იქნება ორიენტირებული და ფინანსურადაც მომგებიანი იქნება უნივერსიტეტისთვის. მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი, სტუდენტთა ორიენტაციისა და პროფესიული კონსულტირების ცენტრი და სხვა. ასეთ ცენტრებს შეეძლება ფასიანი მომსახურების გაწევა ადამიანური რესურსის მენეჯმენტის სფეროში გარეშე ორგანიზაციებისთვის, ბავშვებისა და მოზარდების განვითარების ცენტრებისთვის და ა.შ. იმავდროულად, ასეთი ცენტრები შესანიშნავი ბაზაა როგორც მომავალი სპეციალისტების ჩამოყალიბებისთვის, ისე კვლევების განხორციელებისთვის.

**სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციის ხელშეწყობა.** მთელი სასწავლო პერიოდის განმავლობაში სწავლებისა და კვლევის ინტეგრაცია ერთ-ერთი აქტუალური ამოცანაა. მინდა მკაფიოდ გამოვკვეთო ის, რომ სამეცნიერო საქმიანობის ღირებულება არ შემოიფარგლება შექმნილი პროდუქციის მხოლოდ მეცნიერული თუ პრაქტიკული ასპექტებით, ან მისი მნიშვნელოვანი წვლილით აკადემიური პერსონალის პროფესიულ სრულყოფაში. საზგასასმელია აკადემიური პერსონალის კვლევითი გამოცდილების როლი სალექციო კურსების შექმნაშიც და კითხვაშიც. პრაქტიკა ავლენს, რომ სტუდენტებს ხშირად სწორედ სალექციო კურსების მოსმენის პროცესში უნდებათ ინტერესი ზოგადად კვლევითი საქმიანობისადმი, ამდენად, აკადემიური პერსონალის კვლევითი

საქმიანობა/გამოცდილება სტუდენტთა მხრიდან ასეთი ინტერესის რეალიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

გარდა ამისა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა აისახება აკადემიური სასწავლო პროცესისთვის პრაქტიკული დანიშნულების მქონე სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების შექმნაშიც, რამდენადაც ლექტორი-მეცნიერები მათი წერისას, როგორც წესი, აკადემიური სასწავლო პროცესის მოთხოვნებსაც ითვალისწინებენ. ეს კი, თავის მხრივ, ქმნის რეალურ შესაძლებლობას, დაძლეულ იქნას სასწავლო პროცესისთვის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემა, როგორცაა ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურის უკმარისობა (განსაკუთრებით, ბაკალავრიატის დონეზე). მიმაჩნია, რომ აკადემიური პერსონალის ხელშეწყობა, მათი წახალისება სასწავლო პროცესისთვის საჭირო სპეციალური ლიტერატურის შესაქმნელად, ფაკულტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავი უნდა იყოს. რაც შეეხება წახალისების ფორმებს, ისინი უნდა ჩამოყალიბდეს ფაკულტეტის თანამშრომლებთან შეთანხმების გზით.

### **ადმინისტრირება.**

საქართველოს უმაღლესი განათლების კანონზე დაყრდნობით, ფაკულტეტის ადმინისტრირებისას ჩვენი ამოსავალია მისი ავტონომიურობა, აგრეთვე პრინციპი, რომლის თანახმად, აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიაზრებს სამუშაო დროის გადანაწილებას სამ ძირითად კომპონენტზე. შესაბამისად, უპირველესი ამოცანაა ფაკულტეტზე არსებული რესურსის ეფექტურად და პროდუქტიულად გამოყენება ეფექტიანი ადმინისტრირების, აგრეთვე სწავლების, კვლევისა და განვითარებისთვის.

ამ გზაზე საშურ საქმედ მიმაჩნია ფაკულტეტის ადმინისტრირების მოდელის სრულყოფა, რამდენადაც აკადემიური/სასწავლო სფეროს კოორდინაცია და, საბოლოოდ, ფაკულტეტის ორგანულად გამთლიანება ამის გარეშე შეუძლებელია.

**ფაკულტეტის სტრუქტურის დახვეწა.** ვფიქრობ, რომ მართვის ეფექტიანობისთვის ფაკულტეტზე დღეს არსებულ მიმართულებებს უნდა ჰქონდეთ სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის რეალური ფუნქციები. ამის განხორციელება შესაძლებელია ფაკულტეტზე ინსტიტუტების ჩამოყალიბებით, რომლებშიც გაერთიანებული იქნება ერთი ან მეტი მიმართულება. ჩვენი მოდელის შესაბამისად, ასეთი ინსტიტუტები წარმოადგენს არა ადმინისტრაციულ, არამედ სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურას, რომლის ხელმძღვანელობა დაევალება სრულ/ასოცირებულ პროფესორებს როტაციის წესით. ჩემი აზრით, ასეთი სტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა, უფრო კოორდინირებული გახდეს დეკანის ოფისის თანამშრომლებისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელების საქმიანი ურთიერთობები. უნდა დამკვიდრდეს დეკანატთან ინსტიტუტის ხელმძღვანელების ყოველკვირეული შეხვედრების პრაქტიკა, რადგან, ასეთი პრაქტიკა სწრაფი უკუკავშირისა და საჭიროებების დროული იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს მუშაობასთან ერთად, ასეთი შეხვედრები უზრუნველყოფს ორგანიზებისა და მართვის პროცესში აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობასაც და გამჭვირვალობასაც ფაკულტეტზე, რაც, თავის მხრივ, მისი, როგორც ერთიანი ორგანიზმის, ფუნქციონირების გარანტია.

**ფაკულტეტის მართვა და აკადემიური პერსონალი.** უმნიშვნელოვანეს საკითხად მიმაჩნია ფაკულტეტის მართვაში აკადემიური პერსონალის რეალურად და ქმედითად ჩართვა ხელშეკრულების საფუძველზე, აგრეთვე, ამ სფეროში მაგისტრი და დოქტორანტი სტუდენტების მონაწილეობის გაზრდა ანაზღაურებით. უკეთესი კომუნიკაციური ქსელის შექმნა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა

აკადემიური პერსონალის, ზოგადად, ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისათვის, ფაკულტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში მონაწილეობა, ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის შესახებ ინფორმაციის დაუბრკოლებლად მიღება – ესაა ის ნაბიჯები, რომელთა გარეშე შეუძლებელია ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების რეალიზაცია, როგორცაა ფართო გამჭვირვალობა და საჯაროობა.

ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი საკითხია მართვაში აკადემიური პერსონალის ჩართვის ეფექტური ფორმების შერჩევა/დამკვიდრება. ვფიქრობ, რომ ამ მიზნით ფაკულტეტზე უნდა ფუნქციონირებდეს საბჭოები – აკადემიური პროგრამების, კვლევისა და განვითარების, საბიუჯეტო დაგეგმვის, მეთოდური, სტუდენტების მრჩეველთა (ტუტორთა). აკადემიური პერსონალისთვის საქმიანობა საბჭოებში მათ ადმინისტრაციულ დატვირთვას უნდა წარმოადგენდეს.

**აკადემიური პერსონალის სამუშაო რეჟიმის ორგანიზება.** ასეთი მიდგომის ფარგლებში ფაკულტეტის სტრუქტურის ფუნქციონირების ფინანსურ გარანტიად გვევლინება აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება სამართლიანობის პრინციპის დაცვით. სწავლებისა და კვლევის უმჭიდროესი კავშირი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის დღის წესრიგში აქტუალურად სვამს აკადემიური პერსონალის საქმიანობაში დროის განაწილებისა და შესაბამისი კრიტერიუმების სისტემის შექმნის საკითხს. ასეთი სისტემა ეფუძნება დაშვებას, რომ აკადემიური პერსონალის კონკრეტული საქმიანობები – პედაგოგიური, კვლევითი და ადმინისტრაციული, შეიძლება აღწერილ იქნას კონკრეტულ საქმიანობებზე დახარჯული დროით. შესაბამისად, ფაკულტეტის პროფესორებს შესაძლებლობა მიეცემათ, თვითვე გაანაწილონ მათზე გაპროექტებული საათები, დაგეგმონ მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოები თავიანთი შესაძლებლობებისა და ინტერესის შესაბამისად სამივე კომპონენტის ფარგლებში. იმავდროულად, ეს სისტემა ფაკულტეტზე სახელფასო კატეგორიების სამართლიანად დაკომპლექტების საშუალებასაც იძლევა. მაგალითად, ფაკულტეტზე არსებობს ასისტენტ-პროფესორების სახელფასო განაკვეთების ასოცირებული და სრული პროფესორების ხელფასებთან პროპორციულ შესაბამისობაში მოყვანის რეალური პრობლემა. ამდენად, მიგვაჩნია, რომ ასეთი სისტემის ამოქმედება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ფაკულტეტზე შრომის ანაზღაურებაში არსებული დისბალანსის დასაძლევად და ამ სფეროში სამართლიანი განაწილების პრინციპის დასამკვიდრებლად.

დღეისთვის ფაკულტეტზე ერთ-ერთი საჭირობოროტო საკითხია პროფესორებისთვის სამუშაო პირობების შექმნა საკონსულტაციო საათების ჩასატარებლად. საჭიროა პროფესორთა უზრუნველყოფა კომპიუტერებით, პროფესორებისთვის შესვენების საათების რეგლამენტირება და სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება. საზოგადოდ, ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება უთუოდ ითხოვს ფაკულტეტის ადმინისტრაციის უფრო აქტიურ ძალისხმევას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აუდიტორიების აღჭურვა სათანადო აპარატურით (დასაწყისში, რამდენიმე მანძი) რათა პროფესორებს საშუალება მიეცეს გამოიყენონ საპრეზენტაციო და მულტიმედიაური მასალა, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ლექცია-სემინარების დონესაც და სტუდენტთა დაინტერესებასაც.

**კოორდინაცია.** ვფიქრობ, რომ უნდა გაძლიერდეს კოორდინაცია ერთი მხრივ, ფაკულტეტსა და, მეორე მხრივ, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს ფაკულტეტისგან წარგზავნილ წევრებს შორის. მჭიდრო კოორდინაცია მათ შორის უდაოდ შეუწყობს ხელს ერთი მხრივ, ფაკულტეტის უფრო აქტიურად ჩართვას საუნივერსიტეტო საქმიანობაში და ფაკულტეტის წვლილის გაზრდას უნივერსიტეტის მართვაში, მეორე მხრივ, ზოგადსაუნივერსიტეტო პრობლემატიკის საფაკულტეტო განხილვას და ფაკულტეტის

აკადემიური პერსონალის აქტივიზაციას საუნივერსიტეტო პრობლემათა მოგვარებაში მონაწილეობის მიმართულებით. საუნივერსიტეტო მართვაში ფაკულტეტის თანამონაწილეობის გაზრდა-გაძლიერება, მჭიდრო თანამშრომლობა უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებთან ასევე პრიორიტეტულ მიმართულებად გვესახება.

ფაკულტეტის მართვაში წარმატების მნიშვნელოვანი პირობაა მისი რესურსების ანალიზი და ამ საფუძველზე საქმიანობის დაგეგმვა. ამას გარდა, სრულიად უეჭველია, რომ დეკანის ოფისის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა ფაკულტეტის ეფექტიანი ადმინისტრირების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

**შრომითი ბაზარი და ფაკულტეტის მიზნები.** ძალზე მნიშვნელოვან საქმედ მესახება ბაზრის მოთხოვნილებების ასახვა სწავლების მთელ პროცესთან მიმართებაში. ამ მიზნით, ვფიქრობ, უნდა მოხდეს ბაზრის მოთხოვნების კვლევა კომპეტენციებისა და მათი სახეების გამოსავლენად კონკრეტული სპეციალობის ინტერესების შესაბამისად. ცხადია, რომ ფაკულტეტი ღია იქნება ყოველგვარი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის სახელმწიფო, არასამთავრობო თუ სხვა სტრუქტურებთან. ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და აკადემიური პერსონალის პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მიზნით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბიზნესის და საბანკო ორგანიზაციების დაინტერესება, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებთან აქტიური კონტაქტები.

დასასრულს, მინდა გამოვხატო ღრმა მადლიერება ჩემი კოლეგების მიმართ ფაკულტეტიდან იმ დახმარებისთვის, რომელიც მათ გამიწიეს კონცეფციაზე მუშაობისას. ამდენად, ფაკულტეტის განვითარების წარმოდგენილ კონცეფციაში, ჩემს მოსაზრებებთან ერთად, ასახულია ჩემი კოლეგების თვალსაზრისებიც და ჩვენი ერთობლივი კონსულტაციების შედეგებიც.